KA021724637129618

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ. ფოთი, დ.თავდადებულის ქ.4

Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N12/46690

20 / აგვისტო / 2018 წ.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლას

თქვენი 2018 წლის 15 აგვისტოს № MES31801009140 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრი თანახმაა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებაში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 43.28.42.185) მდებარე: 42.00 კვ.მ ფართის - სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით, არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადით, აუქციონის საფუძველზე გაცემა განახორციელოთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმ ვალდებულებებით, რაც თქვენს ზემოაღნიშნულ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 09 აგვისტოს №MES01800995865 წერილში არის მითითებული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებულ უნდა იქნეს საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ აუცილებელ პირობას. ამასთანავე, საიჯარო ქირა უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, იჯარით გასაცემ ფართებზე კომუნალური გადასახადები გადახდილ უნდა იქნეს მოიჯარის მიერ.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის
მომსახურების ცენტრის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გოჩა კანკავა